

ზურაბ ვახანია

დ. უზნაძის სახ. საქართველოს ფსიქოლოგთა საზოგადოება, თბილისი
uznadze.ps.inst@gmail.com

საკვანძო სიტყვები: თარგმნა, ინგლისური, კალკი, ბარბარიზმი, ბოლოსართი, დეფისი.

ფსიქოლოგიის ქართული ტერმინოლოგია (დაზუსტება, დახვეწა და შევსება)

რამდენიმე წლის განმავლობაში ჩვენ (დ. უზნაძის სახ. საქართველოს ფსიქოლოგთა საზოგადოება) ვმუშაობდით შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტზე: ფსიქოლოგიის ქართული ენციკლოპედიური აკადემიური ონლაინლექსიკონი; ყველა ტერმინს ინგლისურ-რუსული შესატყვისი ახლავს (ვახანია 2019). ბუნებრივია, რომ ლექსიკონის შედგენა როგორც ტერმინების, ისე შესატყვისი ცნებების შინაარსის დაზუსტებას, დახვეწას, შევსებას მოიცავს. სამწუხაროდ, ქართული ფსიქოლოგიის ტერმინებში (განსაკუთრებით – უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში შემოღებულ ტერმინებში) მრავალი შეუსაბამობაა როგორც უცხოენოვან შესატყვისებთან, ისე ქართული ენის ნორმებთან და წესებთან. ქართული ენის ანდა მეცნიერული ფსიქოლოგიის დამახინჯების უფლება არავის აქვს.

ზოგადად, ამას ყველა ეთანხმება, მაგრამ როგორც კი საქმე მიდგება კონკრეტული ტერმინის შესწორება-შეცვლაზე, მაშინვე თავს იჩენს საწინააღმდეგო მოტივაცია: ჩვევის რიგიდულობა (ქართულად – სიბრჯგულე ანუ „შეჩვეული ჭირი გერჩივნოს შეუჩვეველ ლხინსო“).

მცდარად თარგმნილი ტერმინები

1. *დანაშაულის გრძნობა/განცდა*. სინამდვილეში „დანაშაული“ შეესატყვისება ტერმინებს: ინგლ. *Crime* = რუს. *Преступление*. უაზრობაა *crime emotion* ან *чувство преступления*. მცდარია ტერმინით *დანაშაული* თარგმნა ინგლისური ტერმინისა *guilt (fault)* = რუსული *вина*. ამ ტერმინების ქართული შესატყვისია *ბრალი* (იურიდიული ტერმინია *ბრალეულობა*). *დანაშაული* – საქციელია, ხოლო *ბრალი (guilt, вина)* – შეფასება (აქვს გონებრივი და გრძნობითი მდგენელები). ამიტომ *დანაშაულის გრძნობა* მცდარი ტერმინია. მართებულია *ბრალეუ-*

ლობის გრძნობა/განცდა.

დანაშაული = *crime* = Преступление. ბრალი / ბრალეულობა = *guilt / fault* = Вина.

ამასთან, თუკი ბრალეულობის განცდა უსაფუძვლო არაა, ანუ თუკი მართლაც ადამიანის მიერ ჩადენილი დანაშაულის შედეგია, მაშინ ის იგივეა, რაც *სინდისის ქეჯნა* (კარგად გაცნობიერებული სინდისის ქეჯნა ადამიანს ხშირად სინანულს, შემდეგ კი მონანიებას აიძულებს). ინგლისურში არაა ტერმინი *სინდისის ქეჯნა*, მაგრამ ამის გამო ქართული ენიდან არ უნდა დაიკარგოს ცნებები *სინდისი* და *სინდისის ქეჯნა*. ესე იგი, ქართულ ენაში ტერმინი *ბრალეულობის განცდა/გრძნობა* გვჭირდება მხოლოდ იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ეს განცდა უსაფუძვლოა ან თითქმის უსაფუძვლოა. ხოლო სხვა შემთხვევაში ესაა *სინდისის ქეჯნა*.

2. *შთაგონება ჰიპნოზით*, ანუ *ჰიპნოზური შთაგონება*. სინამდვილეში *შთაგონება* შეესატყვისება ტერმინებს: ინგლ. *Inspiration* = რუს. Вдохновение. ესაა შემოქმედების ფსიქოლოგიის ცნება – შემოქმედების მესამე ფაზა („მუზა“). ხოლო ჰიპნოზის დროს ხდება ინგლ. *Suggestion* = რუს. Внушение. ქართულად – *ჩაგონება* (შდრ. *შეგონება*). შესაბამისად, ადამიანის თვისებაა *ჩაგონებადობა* (თუ რამდენად ექვემდებარება ჩაგონებას, საზოგადოდ სხვა ადამიანის ზემოქმედებას).

შთაგონება = *Inspiration* = Вдохновение. *ჩაგონება* = *Suggestion* = Внушение.

აქვე კიდევ ერთი შეცდომაა: მართებულია არა *ჰიპნოტური*, არამედ *ჰიპნოზური* (იხ. ქვემოთ).

3. დიდი *მნიშვნელობა*, *პიროვნული/სუბიექტური მნიშვნელობა*. სინამდვილეში

მნიშვნელობა-საზრისი-აზრი – ესაა სემანტიკა, შინაარსი – ანუ ინგლ. *Meaning* = რუს. Значение, Семантика; მისგან მკვეთრად განსარჩევია ინგლ. *Importance* = რუს. Важность, Значимость = ქართული *მნიშვნელოვნება* – ფსიქოლოგიურ-სოციალურ-კულტურული ღირებულება ან საჭიროება (მოთხოვნილების შესაბამისად) – რაღაცა რომ მნიშვნელოვანია. ამ მნიშვნელოვნება-ღირებულებას უპირისპირდება ნეიტრალურობა-განურჩევლობა-ინდიფერენტულობა; ხოლო მნიშვნელობა-სემანტიკას სულ სხვა ცნება უპირისპირდება – ფორმა-აგებულება-სტრუქტურა. ამ აღრევის მიზეზი ძველისძველი მითოსური

ცნობიერება (ვახანია 2017).

მნიშვნელობა = Meaning = Значение, Семантика. მნიშვნელოვნება = Importance = Важность, Значимость.

4. *მიზეზების დადგენა, მოტივაციის დადგენა...* ეს საკანცელარო ენიდანაა გადმოღებული ფსიქოლოგიაში. სინამდვილეში მეცნიერებაში ძალიან იშვიათად გვხვდება დადგენა, რომლის მნიშვნელობაა წეს-კანონის ან ნორმის დაწესება, სტანდარტის დადგენა, დაკანონება. მაგ.: ტესტის სტანდარტიზაციისა და ნორმირების შედეგად ნორმის დადგენა; ტიპების დადგენა. ფსიქოლოგიაში უფრო ხშირად კი არ ვადგენთ, არამედ ვარკვევთ, ვიკვლევთ, შევისწავლით. მართებულია გარკვევა.

დადგენა = постановлять = decree (აქედანაა დეკრეტი). გარკვევა = clarify; find out = выяснять.

ასევე მცდარია *გამოძიება/კომისია ადგენს/დაადგენს*.

უნდა იყოს: *იკვლევს/გამოიკვლევს ან არკვევს/გაარკვევს/გამოარკვევს*. და ა.შ.

5. *შეგნებულად ჩადენილი, სპეციალურად ჩადენილი*. მართებულია *განზრახ ჩადენილი*. სინამდვილეში *შეგნებული* – ესაა შეგნების მქონე. *შეგნებულად რაიმეს გაკეთება* – მაღალი დონის გააზრების, პიროვნული შეგნების საფუძველზე გაკეთება (მაგ.: შეგნებულად დაეხმარა მეზობელს). ამას უპირისპირდება *შეუგნებლობა* (შდრ. *შეუგნებელი კაცი*). ხოლო განზრახვას უპირისპირდება სულ სხვა – *უნებურობა*. განწყობის თეორიაში ამ ცნებებს უდიდესი მნიშვნელოვნება ენიჭება.

სპეციალური – სპეციალობასთან, სპეციალისტთანაა დაკავშირებული. ახლოსაა ტერმინთან *სპეციფიკური*. მისი საპირისპიროა *არასპეციალური/არასპეციფიკური* ანუ *საზოგადო.* ხოლო განზრახვა არაფერ შუაშია. მართებულია, მაგ.: *სპეციალური სასწავლებელი, სპეციალური ფსიქოლოგია, სპეციალური ხელსაწყო/აპარატი/ტექნიკა...* სპეციალური თითქოს ვიწროდ განკუთვნილია, საზოგადო – ფართოდ.

ამ შეცდომის წყარო რუსული ენაა, რომელიც (ისევე როგორც ინგლისური) ვერ განარჩევს შეგნებასა და ცნობიერებას – *осознание*.

მწარმო	მართებულია
შეუგნებლად მივესალმე	უნებურად/გაუცნობიერებლად მივესალმე
შეგნებულად გავუფუჭე	განზრახ გავუფუჭე
შეუგნებლად დავგადე/დავკარგე/გავგეხე	დამივარდა/დამეკარგა/გამიგყდა
სპეციალურად დაწერა	განზრახ დაწერა, გამიზნულად დაწერა

6. *გრძნობის ორგანო, გრძნობადი აღქმა*. სინამდვილეში გრძნობას (ემოციას) ორგანო არ გააჩნია (მეტაფორულად – მისი „ორგანოა“ გული). გრძნობებია: *სიყვარული, სიძულვილი, სიხარული, მწუხარება, შიში, ინტერესი, გაკვირვება, ბრაზი, ზიზღი* და სხვა მრავალი. ხოლო თვალი და ყური – არა გრძნობის, არამედ შეგრძნების ორგანოებია. ასევე მცდარია გავრცელებული ფრაზა: „მე ისეთი შეგრძნება მაქვს...“ აქ კი შეგრძნება არაფერ შუაშია. უნდა ითქვას: „მე ისეთი განცდა მაქვს...“, „მე ვხვდები, რომ...“ ასევე მცდარია შეგრძნების დაკავშირება გუმანთან, ინტუიციასთან. ადამიანს ხუთი გარე შეგრძნება აქვს: მხედველობა, სმენა, შეხების შეგრძნება, ყნოსვა და გემოს შეგრძნება. ხოლო შიდა (ორგანული) შეგრძნებებია: *დაბუყება, გულისრევა, ჭრჭოლა, შემცივნება, ტკივილი, შიმშილი, წყურვილი, წონასწორობის დაკარგვის შეგრძნება* და სხვა.

გრძნობა = ემოცია; *შეგრძნება* = ინფორმაციის პირველადი მიღება.

7. ბოლო ხანებში ძალიან გავრცელდა სიძულვილისა და ზიზღის გრძნობათა აღრევა. ზიზღი მიემართება საზიზღარს, ანუ იმას, რაც ჭუჭყიანია, მყრალია, დამპალია და მისთ., რაც გულისრევასთანაა დაკავშირებული. ზიზღის ბიოლოგიური წარმოშობა მავნებელი საკვების არიდებას უკავშირდება. ხოლო *სიძულვილი* – სიყვარულის საპირისპირო გრძნობაა. მტერი და ცუდი ადამიანი კი არ გვეზიზღება, არამედ გვძულს. ხოლო გვეზიზღება, მაგ., დაუბანელი მათხოვარი თუ მაწანწალა. საზოგადოდ, ლექსიკის გაერთფეროვნებისკენ ანუ ენის გაღარიბებისკენ მიმართული ყოველი პროცესი ენისა და ეროვნული კულტურისთვის ძალიან მავნებელია.

ზიზღი = *disgust*. *სიძულვილი* = *hate*.

8. „მე ვთვლი, რომ...“ ცუდი კალკია რუსულიდან. მართებულია: „მე *მიმაჩნია*“, „მე *მივიჩნევ*“. სხვათა შორის, *მიჩნევა, დარწმუნებულობა* და *ყოყმანი* განწყობის თეორიაში ფრიად მნიშვნელოვანი ცნებებია.

თვლა – არითმეტიკული მოქმედება; *ჩათვლა* – რაღაცის დადასტურება ანგარიშში (რომ ჩაუთვალეს);

მიჩნევა – რაიმეს შესახებ პირადი აზრის ქონა.

9. ასევე მცდარია ადამიანის პირადი აზრის, დამოკიდებულებისა თუ არგუმენტის შესატყვისად ტერმინი *მოსაზრება*. ესაა ცუდი კალკი რუსულიდან: *соображение* – შდრ. *сообразить*.

ქართულად უნდა იყოს *შეხედულება*. ანუ: მე ასე *ვხედავ*, მე ასე *მიჩანს* = ასე *მიმაჩნია*.

მოსაზრება – სხარტად მიხვედრა (შდრ. *მოისაზრა, საზრიანი ბავშვი, მოსაზრებული...*);

შეხედულება – რაიმე საკითხის შესახებ პირადი აზრი, შეფასება ან დამოკიდებულება.

10. ტერმინი *აღქმა* წამდაუწუმ იხმარება მცდარად, ნაცვლად ტერმინებისა *გააზრება, შეფასება, მიჩნევა, გაგება*. მაგ. სოციალური პერცეფცია – ესაა სუბიექტებისშორისი აღქმა, ანუ სხვა ადამიანების აღქმა. სწორედ აღქმა – და არა შეფასება. ადამიანისეულ აღქმას შეფასება უფრო ხშირად კი ახლავს, მაგრამ ასევე ხშირად ახლავს გრძნობა თუ ასოციაცია; საზოგადოდ, ფსიქიკური პროცესები ურთიერთდაკავშირებულია. მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს, რომ მეცნიერებაში შესატყვისი ცნებები უნდა აღირიოს.

მწარმო	მართებულია
მან მეზობელი გულქვა კაცად აღიქვა	მან მეზობელი გულქვა კაცად მიიჩნია/შეაფასა
ტექსტის შინაარსი ვერ აღიქვა	ტექსტის შინაარსი ვერ გაიაზრა
სიყვარულის აღქმა უნდა შეგეძლოს	სიყვარულის გაგება/თანაგანცდა უნდა შეგეძლოს

11. ტერმინი *რისხვა* იხმარება მცდარად, ერთერთი ძირითადი გრძნობის (საბაზო ემოციის) შესატყვისად – *anger*. მაგრამ ქართულ ენაში ფაქიზი განრჩევა: ყველაზე ზოგადი ცნებაა *ბრაზი*. შემდეგ:

წყრომა/გაწყრომა – ზომიერი ბრაზი, საყვედური მცირე ბრაზით;

მძინვარება/ძვინვა – ძალიან ძლიერი ბრაზი, უმართავი ბრაზი, ზოგჯერ – აგრესიული შეტევა;

რისხვა/მრისხანება – ზემდგომის/უფროსის ბრაზი ქვემდგომზე/უმცროსზე (ლექსიკონი 1991);

მისი საპირისპიროა: *დრტვინვა* – ქვემდგომის/უმცროსის შეკავებული, ფარული ბრაზი ზემდგომზე/უფროსზე.

მაგ.: მეფე ან მთავრობა ხალხზე მრისხანებს, ხოლო ხალხი დრტვინავს. უ. ფოლკნერის ცნობილი რომანის პირველი ქართული თარგმანი გამოქვეყნდა სათაურით „ხმაური და მრისხანება“. მაგრამ მთარგმნელს შეუსწორეს, რის შედეგადაც მეორე გამოცემაში სათაური შესწორდა – „ხმაური და მძვინვარება“.

ერთერთი ძირითადი გრძნობაა *ბრაზი* = *anger*.

12. მომდევნო ორი შეცდომა ახალია, რუსულის წაბადვით დაიწყო. როგორც ყოველდღიურ, ისე სამეცნიერო ენაში მსაზღვრელი *ძნელი* შეცვლილია სხვა მნიშვნელობის მქონე მსაზღვრელით *რთული*, ხოლო *ადვილი* – ასევე სხვა მნიშვნელობის მქონე მსაზღვრელით *მარტივი* (ხოლო *იოლი* – თურქული ბარბარიზმია). სინამდვილეში კი *ძნელი/ადვილი* ფსიქოლოგიურ-სუბიექტური მიმართებაა: რაც მე მემნელება, სხვას ეადვილება და პირიქით. ხოლო *რთული/მარტივი* – ობიექტურ-ლოგიკური მიმართებაა: დამოკიდებულია შემადგენელი ნაწილების რაოდენობაზე. ის, რაც მრავალი ნაწილისგან შედგება, რთულია (სიტყვის ძირია „*რთვ*“ – შდრ. *რთვა*); ხოლო რაც ცოტა ნაწილისგან შედგება – მარტივია. რაც მთავარია, საგანი შეიძლება იყოს რთული, მაგრამ ვიდაცისთვის ძალიან ადვილი და პირიქითაც – იყოს უმარტივესი, ანუ ერთადერთი ნაწილისგან შემდგარი, მაგრამ ძალიან ძნელი. ზოგჯერ სიადვილე და სიმარტივე კი ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ უფრო ხშირად არ ემთხვევა. ასევეა, მაგ., ტიპური შეცდომა, როდესაც *გამხდარი* მსაზღვრელის ნაცვლად ხმარობენ მსაზღვრელს *სუსტი*. გამხდარი ზოგჯერ კია მართლაც სუსტი, მაგრამ აქედან სულაც არ გამომდინარეობს, რომ ეს სიტყვები სინონიმებია!

ამ აღრევის გამოსწორების გარეშე შეუძლებელია, მაგ., ბავშვის აზროვნების თავისებურებათა გააზრება, საკითხის სწავლების კარგი მეთოდის შედგენა და სხვა. განვიხილოთ მაგალითები.

I. უმარტივესი წინადადებებია „წვიმს“, „აიღე“. მაგრამ მათი შედგენაც და გააზრებაც, ვითარც წინადადებისა, გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე თუნდაც გავრცობილი და რთული რვასიტყვიანი წინადადებისა „ლამაზმა მერცხალმა გაზაფხულზე ბუდე აიშენა და კვერცხები დადო“.

II. რიცხვის გამრავლება 0-ზე ან 1-ზე ყველაზე ადვილი შესასრულებელია, მაგრამ იმის გააზრება, რომ ეს გამრავლება – ძალიან ძნელია (რადგან გამრავლება სიმრავლესთან და გადიდებასთანაა ასოცირებული).

III. კომპიუტერზე ან მობილურ ტელეფონზე მანიპულაციები რთულია, რადგან მრავალი ნაწილისგან შედგება; ამიტომ ზრდასრულებს გვიჭირს/გვეძნელება მათი და მათი თანმიმდევრობის დამახსოვრება; მაგრამ ბავშვისთვის ეს რთული მანიპულაციები ადვილია, რადგან ყველაფერი თვალსაჩინოა და ბავშვს კი ჩვენზე უკეთესი მხედველობითი მეხსიერება აქვს. ამიტომ არავითარი ნიჭის მაჩვენებელი

ბელი არაა, როდესაც 3-4-წლიანი ბავშვი ტელეფონის გამოყენებას სწავლობს.

IV. ფორმულა $P=M/S$ საკმაოდ მარტივია, რადგან 5 ნაწილისგან შედგება, თანაც თვალწინაა; მაგრამ აბსტრაქტულობის გამო გაცილებით ძნელია, ვიდრე შესაბამისი საყოფაცხოვრებო ვითარების თუნდაც გონებაში წარმოდგენა, თუნდაც რომ ეს ვითარება 20-ნაწილიანი ანუ გაცილებით უფრო რთული იყოს (მაგ.: როგორ მოატყუა ნაცარქეჩიამ დევი, როდესაც კისერზე შეაჯდა და კისერში მახათის ჩარჭობით დიდი სიმძიმის ილუზია შეუქმნა).

V. სამყაროს გეოცენტრული სურათი (ყველა ციური სხეული რომ დედამიწის გარშემო ბრუნავს) გაცილებით უფრო ადვილად წარმოსადგენია და ადვილად შესადგენიცაა, ვიდრე ჰელიოცენტრული (რომ მზის გარშემო ბრუნავს დედამიწა და სხვა პლანეტები); თუმცა ჰელიოცენტრული მოდელი გაცილებით უფრო მარტივია: მასში პლანეტების ორბიტები ელიფსის ფორმისაა, ხოლო გეოცენტრულში – რთული ჩახვეული ფორმისა.

ინგლისურს ეს აღრევა არ ახასიათებს. ჩემი დაკვირვებით, ეს აღრევა ჯერ რუსეთში დაიწყო, სადღაც 1970-იანი წლებიდან: *трудный/легкий* მსაზღვრელების ნაცვლად დაიწყეს ხმარება მსაზღვრელებისა *сложный/простой*. ჩემი აზრით, ამის მიზეზი იყო საუბრის „მეცნიერული“ იერის, ვითომ ღრმააზროვნებისა და განსწავლულობის მოჩვენებითობის გაუცნობიერებელი სურვილი (არსებითად, თვალეში ნაცრის შეყრა) – იმ წლებში *რთული/მარტივი* ძირითადად სამეცნიერო, ტექნიკურ და სხვა სპეციალურ ტექსტებს ახასიათებდა (რაც მართებულიცაა – საყოფაცხოვრებო კონტექსტში ეს მსაზღვრელები იშვიათადაა საჭირო).

მარტივი = *simple*, *რთული* = *complicated*, *ადვილი* = *easy*, *ძნელი* = *difficult*.

13. *ავადმყოფური ადიქცია (addiction)* თარგმნეს ასე: *დამოკიდებულება* (ნარკოტიკზე, ალკოჰოლზე, აზარტზე, ეკრანზე...). ხოლო ადამიანის, განსაკუთრებით კი ბავშვის ბუნებრივი და ჯანსაღი გრძნობითი კავშირი ახლობლებთან, *attachment* – ასე: *მიჯაჭვულობა*. ეს ქართული ენის ზერელე ცოდნის მწარე მაგალითია. ქართულში სიტყვას *მიჯაჭვულობა* აშკარა უარყოფითი კონოტაცია აქვს. მაგ., ბავშვი რომ დედაზე მიჯაჭვულია, ეს ცუდია და უნდა დაიძლიოს. თუმცა ბუნებრივია და საჭიროა, რომ ადამიანს მჭიდრო და მტკიცე გრძნობითი კავშირები ჰქონდეს ახლობლებთან. ადამიანი ახლობლებზე სწო-

რედ რომ დამოკიდებულია და ეს ასეც უნდა იყოს, ეს ადიქცია კი არაა, არამედ პირიქით – სიჯანსაღის შემადგენელია. საზოგადოდ, ჩვენ დამოკიდებულნი ვართ იმ ყოველივეზე, რაც გვიყვარს (სხვათა შორის, ამიტომაც, რომ ბუდიზმი ამგვარ გრძნობათა დამღევას ქადაგებს – სულის გასათავისუფლებლად, რათა არაფერზე არ ვიყოთ დამოკიდებული).

სიძნელე იმან გააჩინა, რომ ქართულში არ გვაქვს *attachment /привязанность* ტერმინების შესატყვისი. მაგრამ მათ შესატყვისად *მიჯაჭვეულობა* ყოვლად გამოუსადეგარია. გამოსავალია უცხოურიდან კალკის გადმოღება: *მიბმულობა*. მაშასადამე:

მიბმულობა = *attachment /привязанность* – ადამიანის მჭიდრო და მტკიცე გრძნობითი კავშირები ახლობლებთან, მათზე ზომიერი და ჯანსაღი დამოკიდებულება.

მიჯაჭვეულობა = *adiction* – მეტისმეტი, ავადმყოფური მიბმულობა ადამიანზე ან მეტისმეტი, ავადმყოფური დამოკიდებულება რაიმეზე (ნარკოტიკზე, ალკოჰოლზე, აზარტზე, ეკრანზე, ინტერნეტზე, ყავაზე და სხვა).

14. *სოციალური ინტელექტი, ემოციური ინტელექტი, მუსიკალური ინტელექტი, რიტმული ინტელექტი, კინესთეზიური ინტელექტი, ინტერპერსონალური ინტელექტი, ინტრაპერსონალური ინტელექტი...* ყველა ამ ტერმინშია ინგლისური – *Intelligence* და არა *Intellect*. ესენი კი სხვადასხვა ცნებებია. *Intelligence* უფრო ზოგადია, ვიდრე *Intellect*, რომელიც მისი ერთი კერძო სახეობაა. *Intellect* შესატყვისება ენობრივ, ლოგიკურ და მათემატიკურ *Intelligence*-ს (რომლებიც ზოგად უნართა ტესტით იზომება), მაგრამ არა სხვებს. *Intelligence* არის არა მაინცადამაინც ინტელექტი, არამედ ზოგადად – პრობლემის მოგვარების უნარიანობა, ფსიქოლოგიური შემძლებლობა. აშშ-ს მთავარი სპეცსამსახურია *CIA – Central Intelligence Agency*. ცხადია, რომ ინტელექტი არაფერ შუაშია. მართლაც, პრობლემის მოსაგვარებლად ინტელექტი ერთადერთი საშუალება როდია, ყოველგვარმა უნარიანობამ შეიძლება მოგვაგვარებინოს, მათ შორის – კუნთურ-სხეულებრივმაც კი, მაგ., სწრაფმა რეაქციამ, სწრაფმა სირბილმა, აგრეთვე ყურადღების ძლიერი კონცენტრაციის უნარიანობამ, საუკეთესო მეხსიერებამ და სხვა. ხოლო საზოგადოებაში წარმატების მისაღწევად გადამწყვეტია ემოციურ-სოციალური, ანუ ინტერპერსონალური უნარიანობა (მართებულ თარგმნას ხელი შეუშალა რუსულიდან ქართულში შეთვისებულმა ტერმინებმა *ინტელიგენტი/ინტელი-*

გენცია, რომლებიც ევროპულ ენებში არ არსებობს).

უნარიანობა რამდენიმე თეორიის საკვანძო ცნებაა (გარდნერი, სტერნბერგი, გილფორდი, აიზენკი, ბარ-ონი და სხვა). მაგ., ჰ. გარდნერის თეორიის სახელწოდებაა: *Theory of Multiple Intelligences*. როგორც ვხედავთ, ორიგინალში ტერმინი *Intelligence* მრავლობით რიცხვშია. როგორ წარმოგვიდგენია „ინტელექტი“ მრავლობით რიცხვში? ხოლო უნარიანობა – ძალიან ბუნებრივად: უნარიანობათა თეორია. მართლაც: ინტელექტი ერთადერთია, უნარიანობა კი – მრავალი, სხვადასხვა მიმართულებისა. და სწორედ ამის შესახებაა ჰ. გარდნერისეული ტიპოლოგია.

ინტელექტი = *Intellect*. უნარიანობა = *Intelligence*.

შესაბამისად:

სოციალური/ემოციური/რიტმული/ინტრაპერსონალური... ...

უნარიანობა.

15. საქართველოში ჰ. გარდნერის თეორიის სახელწოდება ორმაგი შეცდომით თარგმნეს. ერთია უკვე განხილული „ინტელექტი“. მეორეა მსაზღვრელი *მრავალმხრივი*: „მრავალმხრივი ინტელექტის (უნარიანობის) თეორია“. ინგლისური *Multiple* ქართულადაა არა *მრავალმხრივი*, არამედ *მრავლობითი* (რუსულადაა *множественный*). მაგ., ტესტში *Multiple Choice Item* – ესაა ასარჩევპასუხებიანი ამოცანა, ანუ ამოცანა მრავალი პასუხით – და არა მრავალმხრივი პასუხებით. ხოლო *მრავალმხრივი* ინგლისურადაა არა *Multiple*, არამედ *Many-sided* ან *Multilateral* (რუსული *многосторонний*). ჰ. გარდნერის თეორიის შინაარსიც ამას ადასტურებს. ყოველ კონკრეტულ ადამიანს აუცილებლად მრავალმხრივი უნარიანობა არა აქვს. ზოგს კი აქვს, მაგ., ერთდროულად ძლიერი და გამოკვეთილი ენობრივი, თან ინტერპერსონალური და თან მუსიკალური უნარიანობა (სამმხრივი უნარიანობის მაგალითი). მაგრამ ეს უფრო იშვიათია. მაშასადამე ჰ. გარდნერი გულისხმობს არა უნარიანობის მრავალმხრივობას, არამედ უნარიანობათა (სწორედ რომ მრავლობით რიცხვში!) მრავლობითობას: რომ ადამიანების უნარიანობანი მრავალი სხვადასხვაა, მრავალფეროვანია – და არ დაიყვანება მხოლოდ ინტელექტზე (ენობრივ, ლოგიკურ და მათემატიკურ უნარიანობაზე).

უფრო მეტიც, ქართულად ასეც კი შეიძლება – მრავლობით რიცხვში: „მრავლობით უნარიანობათა თეორია“. მაგრამ ამას ქართული ენის თავისებურება უშლის ხელს: ქართულში მსაზღვრელთან „მრავლობითი“ გვეხამუშება საზღვრულის მრავლობითი რიცხვი – არ

შეიძლება, მაგ., „მრავალ წიგნთა“ – უნდა იყოს ან „მრავალი წიგნის“ ან, ძველქართული სტილით, „მრავალთა წიგნთა“. მაგრამ „მრავლობითა უნარიანობათა თეორია“, ცხადია, მძიმე და ხელოვნურია. ამიტომ:

Theory of Multiple Intelligences = მრავლობითი უნარიანობის თეორია.

მაშასადამე, ჰ. გარდნერის თეორიის სამსიტყვიან სახელწოდებაში ორი სიტყვა შეცდომით თარგმნეს. შემდეგ კი ასე მცდარად ასწავლიან ათასობით მასწავლებელს ტრენინგებზე. ეს სამწუხარო მაგალითი აშკარად გვიჩვენებს, თუ როგორ ზერელედ ხდება საქართველოში ტერმინების შემოღება და დამკვიდრება: ინგლისური ენის, ქართული ენისა და თვით თეორიის შინაარსის გაუაზრებლად. და არც იმას უკვირდებიან, გვაქვს თუ არა ქართულ ენაში ბუნებრივი შესატყვისი და საჭიროა თუ არა უცხოური, ბარბარისტული ტერმინის შემოღება.

ქართული ენის წესების დარღვევით წარმოებული უცხოძირიანი ტერმინები

ფსიქოლოგიაში, ისევე როგორც მეცნიერების სხვა დარგებში, ასეულობითაა უცხოძირიანი ტერმინები. მათგან ათეულობით ტერმინია, რომლებიც ქართული ენის წესების დარღვევითაა წარმოებული. დარღვევების ოთხი ძირითადი ჯგუფია:

1. ბოლოსართის მცდარად მოკვეცა;
2. ზედმეტი დეფისის ან შუალედის ჩართვა წარმოებულ სიტყვებში;
3. ზედმეტი ბოლოსართის გადმოტანა უცხო ენიდან;
4. ბოლოსართის მცდარად გადმოღება.

1. ბოლოსართის მცდარად მოკვეცა

უპიკ	მშლარმა	მარმშპულმა	შშაჲარმჲალ
ჟანგასტიკა-	ჟანგასტიკური	ჟანგასტიკური	ჟოტიკა → ჟოტიკური
რომანტიკა-	რომანტიკული	რომანტიკული	ოპტიკა → ოპტიკური
დინამიკა-	დინამიკური	დინამიკური	ეროტიკა → ეროტიკული
სტატიკა-	სტატიკური	სტატიკური	დისკურსია → დისკურსული
ლინგვისტიკა-	ლინგვისტიკური	ლინგვისტიკური	ლინგვისტი → ლინგვისტიკური
ესთეტიკა-	ესთეტიკური	ესთეტიკური	ესთეტი → ესთეტიკური
მისტიკა-	მისტიკური	მისტიკური	მაგია → მაგიური
ეკონომიკა-	ეკონომიკური	ეკონომიკური	ეკონომია → ეკონომიკური
პათეტიკა-	პათეტიკური	პათეტიკური	რიტორიკა → რიტორიკული
სპეციფიკა-	სპეციფიკური	სპეციფიკური	პროგნოსტიკა → პროგნოსტიკული
პედაგოგიკა-	პედაგოგიკური	პედაგოგიკური	პედაგოგი → პედაგოგიკური

2. ზედმეტი დეფისის ან შუალედის ჩართვა წარმოებულ სიტყვებში

შუქი	მსლარმა	მარმეპუმა	შესაღარპულ
მიზეზ-შედეგ-	მიზეზ-შედეგობრივი	მიზეზშედეგობრივი	ცოლქმრული
ზოგად-კერძო-	ზოგად-კერძობა	ზოგადკერძობა	ღელაშეილობა
მეტ-ნაკლებ-	მეტ-ნაკლებობა	მეტნაკლებობა	მეტ-ნაკლებად
(ერთი ცნებაა skill)	უნარ-ჩვევა	უნარჩვევა	ქალთევა, ცხესიმაგრე
(ერთი ცნებაა)	ელის პირი	ელისპირი	ჯარისკაცი, ხევისბერი
(ერთი ცნებაა)	გეშტალტ-თერაპია	გეშტალტთერაპია	გეშტალტფსიქოლოგია
(ერთი ცნებაა)	კონტენტ-ანალიზი	კონტენტანალიზი	ფსიქოდრამა

3. ზედმეტი ბოლოსართის გადმოტანა უცხო ენიდან;

შუქი	მსლარმა	მარმეპუმა	შესაღარპულ
პორიზონტ-	პორიზონტალური	პორიზონტული	ვერტიკალი → ვერტიკალური
ექსპერიმენტ-	ექსპერიმენტალური	ექსპერიმენტული	პროფესია → პროფესიული
პარადოქს-	პარადოქსალური	პარადოქსული	პროფესიონალი → პროფესიონალური
ემოცია-	ემოციონალური	ემოციური	ექსტრემალი → ექსტრემალური
პოტენცია-	პოტენციალური	პოტენციური	აქტუალური/აქტუური (სემანტიკა, დიფერენცია)
სუბსტანცია-	სუბსტანციონალური	სუბსტანციური	
ემბრიონ-	ემბრიონალური	ემბრიონული	პარანოია → პარანოიდული
პორმონ-	პორმონალური	პორმონული	
ეგზისტენცია-	ეგზისტენციონალური	ეგზისტენციური	ოპერაციონალიზმი → ოპერაციონალური
ინტენცია-	ინტენციონალური	ინტენციური	კონსტიტუციური
ინსტიტუცია-	ინსტიტუციონალური	ინსტიტუციური	

4. ბოლოსართის მცდარად გადმოღება.

მანიაკ-	მანიაკალური	მანიაკური	
მოლეკულა-	მოლეკულარული	მოლეკულური	
კონცეპტ-	კონცეპტუალური	კონცეპტური	ბარბარიზმი - ქართულადაა ცნებითი
ელიტა-	ელიტარული	ელიტური	
ეგალიტე-	ეგალიტარული	ეგალიტური	
ილუზია-	ილუზორული	ილუზიური	ამნეზია → ამნეზიური
ბიპევიორ-	ბიპევიორალური	ბიპევიორისტული	
სიმბოლიზმება-	სიმბოლიზმირებული	სიმბოლიზმებული	
რეალიზმება-	რეალიზმირებული	რეალიზმებული	
ნორმალიზმება-	ნორმალიზმირებული	ნორმალიზმებული	
ფონემა-	ფონემატური	ფონემური	ფონემატიკა → ფონემატიკური
ლოგმა-(ტიკა)-	ლოგმატური	ლოგმატიკური	სტილისტიკა → სტილისტიკური
თემა-(ტიკა)-	თემატური	თემატიკური	სტილისტიკა → სტილისტიკური
პრობლემა-	პრობლემატური	პრობლემური	სუბსტრატი → სუბსტრატული

მაშასადამე, მართებულია: *პიაჟეს გენეზისური სკოლა/მეთოდი* – და არა: *გენეტიკური*. ეს მსაზღვრელი ისედაც გაუმართლებელია, რადგან მცდარ შეხედულებას ქმნის – თითქოს პიაჟეს თეორია გენეტიკასთანაა დაკავშირებული. სინამდვილეში კი გენეტიკა არაფერ შუაშია.

არნ. ჩიქობავა ენათმეცნიერებაში ხმარობდა მართებულ ტერმინს *გენეზისური* (ჩიქობავა 1960).

უკმა	მცდარი	მართებული	შემაჯარებლად
ასოციატია-	ასოციატური	ასოციაციური	მოტივაცია → მოტივაციური
ინგუიცია-	ინგუიკური	ინგუიციური	ემოცია → ემოციური
ოპერაცია-	ოპერატული	ოპერაციული	დირექტია → დირექციული
დეკლარაცია-	დეკლარატული	დეკლარაციული	კონვენცია → კონვენციური
კონვერგენცია-	კონვერგენტული	კონვერგენციული	კორელაცია → კორელაციური
დივერგენცია-	დივერგენტული	დივერგენციული	
ინტერაქცია-	ინტერაქტული	ინტერაქციული	ინტეგრაცია → ინტეგრაციული
ფიქცია-	ფიქციური	ფიქციური	ფაქტი → ფაქტობრივი
კორპორაცია-	კორპორატული	კორპორაციული	
რეგროსპექცია-	რეგროსპექტული	რეგროსპექციული	ინტროსპექცია → ინტროსპექციული
პროსპექცია-	პროსპექტული	პროსპექციული	

კოგნიცია-	კოგნიტური	კოგნიციური	
მეტაკოგნიცია-	მეტაკოგნიტური	მეტაკოგნიციური	
პერცეფცია-	პერცეპტული	პერცეფციული	
კონსტრუქცია-	კონსტრუქტული	კონსტრუქციული	კონსტრუქტი → კონსტრუქტული
ქაოს-	ქაოტური	ქაოსური	ნარატივი → ნარატიული
(რე)პროდუქცია-	(რე)პროდუქტული	(რე)პროდუქციული	პროდუქტი → პროდუქტული
ინერცია-	ინერტული	ინერციული	ინერტული (მასალა) – <i>ნეიტრალურივით (სემანტიკური დიფერენციალი)</i>
ნევროზ-	ნევროტული	ნევროზული	ანგელოზი → ანგელოზური
ფსიქოზ-	ფსიქოტური	ფსიქოზური	სუბსტრადი → სუბსტრადული
ჰიპოთეზა-	ჰიპოთეტური	ჰიპოთეზური	
ჰიპნოზ-	ჰიპნოტური	ჰიპნოზური	

მაშასადამე, როგორცაა:

ემოცია → *ემოციური* (და არა „ემოტური“)

მოტივაცია → *მოტივაციური* (და არა „მოტივატური“),

ინტუიცია → *ინტუიციური*

ასოციაცია → *ასოციაციური* და სხვა.

ასევე უნდა იყოს:

კოგნიცია → *კოგნიციური* (და არა „კოგნიტური“).

თუმცა მთლიანი უცხო ტერმინები, რომლებიც უცხო ენაშია წარმოებული, პირდაპირ გადმოგვაქვს: *მოტივატორი* (თუმცა: *მოტივაციური*); *კონსტრუქტივიზმი* (თუმცა: *კონსტრუქცია/კონსტრუქციული*); *ფსიქოანალიტიკოსი* (თუმცა: *ფსიქოანალიზური*); *კოგნიტივიზმი* (თუმცა: *კოგნიცია/კოგნიციური*). შესაბამისად: *კოგნიტივისტური თეორია/მიდგომა/მეთოდი* (და არა: *კოგნიტური*), *კოგნიციური პროცესები* (თუმცა: *კოგნიტივიზმი*).

ასევე მცდარი ტერმინია *ბიჰევიორალური* – უნდა იყოს: *ბიჰევიორიზმი* → *ბიჰევიორისტული*.

სამწუხაროდ, ტერმინებს უფრო ხშირად ის პირები ამკვიდრებენ და ავრცელებენ, რომლებმაც არც ფსიქოლოგია იციან ღრმად, არც ქართული ენა და არც ინგლისური ენა. შემდეგ კი ეს მცდარი ტერმინები ყოველდღიურ მეტყველებაში მკვიდრდება. მართლაც, ჩვენ მიერ განხილული მცდარი ტერმინები ფართოდ გამოიყენება ყოველდღიურ თუ ოფიციალურ მეტყველებაში, მასმედიასა და განათლების სისტემაში.

ლიტერატურა

ვახანია 2019 – ზურაბ ვახანია, ქართული ფსიქოლოგიის ტერმინების დაზუსტება, დახვეწა და შევსება, „საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე“-2019.

ვახანია 2017 – დაზუსტება ცნებებისა „მნიშვნელობა“ და „მნიშვნელოვნება“, „საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე“-2017.

ლეესიკონი 1991 – სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული, ტ. I-II. თბილისი, მერანი.

ჩიქობავა 1960 – არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, თბილისი.

Zurab Vakhania

D. Uznadze Georgian Psychological Society, Georgia

uznadzepsinst@gmail.com

Keywords: Translation, English, Barbarism, Ending, Hyphen.

Specification, Refinement and Expanding of Georgian Psychological Terms

Summary

In psychology, as well as in other branches of science there are hundreds of foreign-rooted terms. There are dozens of them, which are produced by violating the rules of the Georgian language. There are four main groups of violations: 1. Mistakenly cutting off the suffix; 2. Inserting of extra hyphens or space in derived words; 3. Transferring a redundant suffix from a foreign language; 4. Incorrectly transferring the suffix. Unfortunately, the terms are established and spread more often by those who do not know psychology in-depth, nor the Georgian language, or the English language. And then these erroneous terms may become established in everyday speech.